

## ვებგვერდის სამომხმარებლო შეთანხმება

ვებგვერდი [www.turebi.ge](http://www.turebi.ge) წარმოადგენს შპს ფლაიაუთის-ის კუთვნილებას და იმართება ამავე კომპანიის მიერ. თუ თქვენთვის ხელმისაწვდომია ამ საიტზე ავტორიზაცია, საკუთარი გვერდის დამოუკიდებელი მართვა, საკონტაქტო ინფორმაციის, ფოტოების და კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამატება, რედაქტირება, წაშლა, ესე იგი თქვენ ეთანხმებით ჩვენი ვებგვერდის წესებს. თუ თქვენ არ ეთანხმებით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულების პირობებს, თქვენ ვერ ისარგებლებთ ჩვენი საიტის მომსახურებით.

## ტერმინთა განმარტებები

„საიტი“ და „ვებგვერდი“ - შპს „CoolGroup-ის მფლობელობაში არსებული ვებ გვერდი [www.turebi.ge](http://www.turebi.ge)

„მომხმარებელი“ - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს საიტით, ათავსებს მასზე ინფორმაციას ან იძიებს ინფორმაციას საიტის გამოყენებით;

„ადმინისტრაცია“ - საიტის მმართველი კომპანია ან/და მისი წარმომადგენელი

„განცხადება“ - საიტზე რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ განთავსებული ინფორმაცია მისი პროდუქციის ან/და მომსახურების შესახებ.

## შეთანხმების ძირითადი პირობები

1. საიტი არის შუამავალი პროდუქტის/მომსახურების მიმწოდებელსა და კლიენტს შორის და არ არის გამყიდველი ან მყიდველი;
2. საიტის ადმინისტრაციას არ ეკუთვნის საიტზე განთავსებული არცერთი ქონება/მომსახურება და არ ფლობს დამატებით ინფორმაციას მათ შესახებ;
3. განცხადებაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე, უსაფრთხოებაზე და აღწერასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი არ არის საიტის ადმინისტრაცია;

### 1. მომხმარებლის უფლებები

1.1 ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელ/უფლებამოსილ პირს შეუძლია დარეგისტრირდეს და დაამატოს კომპანია.

1.2 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელს შეუძლია საიტზე შესაბამის კატეგორიაში უფასოდ განათავსოს როგორც შიდა, ასევე გამყვანი ტურების ტურ-პაკეტები.

1.3 სასტუმროს წარმომადგენელს უფლება აქვს საიტზე შესაბამის კატეგორიაში განათავსოს ინფორმაცია სასტუმროს და მისი ნომრების შესახებ;

1.4 ტურისტული მიზნით გასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელს უფლება აქვს საიტზე განათავსოს მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების შესახებ დეტალური ინფორმაცია და გაქირავების პირობები.

## 2. მომხმარებლის ვალდებულებები

- 2.1 მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას ვებ-გვერდის მოხმარების წესები და პირობები;
- 2.2 მომხმარებელი იღებს ვალდებულებას საიტის ბაზაში პერიოდულად გაანახლოს ინფორმაცია მის კომპანიაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.
- 2.3 მომხმარებელი ვალდებულია საიტზე განათავსოს უტყუარი ინფორმაცია და განთავსებული ინფორმაცია შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს
- 2.4 მომხმარებელი ვალდებულია ვებ-გვერდზე ჰქონდეს მხოლოდ ერთი ანგარიში და არ გამოიყენოს რამდენიმე სხვადასხვა მომხმარებლის სახელი.
- 2.5 მომხმარებელი ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს ყველა ის ველი, რომელიც მოცემული აქვს ვებ-გვერდის ადმინისტრაციას;
- 2.6 რეგისტრირებული მომხმარებელი ვალდებულია ვებ-გვერდზე არ განათავსოს არათემატური განცხადებები, სარეკლამო ხასიათის განცხადებები ან/და ბმულები (გარდა კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდის, კომპანიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ტურის აღწერაში მითითებული სასტუმროს გვერდისა) ან/და ბმულები, რომლებიც უკავშირდება იგივე ტიპის ვებ-გვერდებს, როგორცაა Turebi.ge.
- 2.7 მომხმარებელი ვალდებულია არ განათავსოს ვებ-გვერდზე დუბლირებული განცხადებები.

## 3. ვებ-გვერდის ადმინისტრაციის უფლებები

- 3.1 ვებ-გვერდის ადმინისტრაციას უფლება აქვს რეგისტრირებული მომხმარებლებისგან მოითხოვოს მოხმარების წესებისა და პირობების დაცვა;
- 3.2 მომხმარებლის მიერ წესების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას წესების დამრღვევ მოხმარებელს შეუზღუდოს ვებ-გვერდით სარგებლობის უფლება მანამ, სანამ მოხმარებელი არ უზრუნველყოფს არსებული ხარვეზის გამოსწორებას;
- 3.3 წესების დარღვევის აღმოჩენისთანავე ადმინისტრაცია ამის შესახებ ატყობინებს მომხმარებელს მის მიერ კომპანიის/მომხმარებლის შესახებ მონაცემებში მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ან/და ელ-ფოსტის საშუალებით, რის შემდეგაც მოხმარებელს დარღვევის გამოსასწორებლად ეძლევა არაუმეტეს 1 სამუშაო დღისა. აღნიშნულ ვადაში დარღვევის გამოსწორებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს წაშალოს განცხადება ან/და დაბლოკოს მომხმარებლის ანგარიში. რაც გულისხმობს, რომ მომხმარებლის მონაცემები აღარ გამოჩნდება ვებ-გვერდზე და ის ვეღარ შეძლებს ვებგვერდით სარგებლობას;
- 3.4 ადმინისტრაციას უფლება აქვს წესების უხეში დარღვევის ან ერთი მომხმარებლის მიერ ერთი და იგივე წესის ორი ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წაშალოს განცხადება ან/და დაბლოკოს მომხმარებლის ანგარიში მისი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.
- 3.5 ადმინისტრაციას უფლება აქვს წაშალოს ან/და დაბლოკოს მოხმარებლის ანგარიში თუ მისთვის ცნობილი გახდება დადასტურებული ინფორმაცია მომხმარებლის ისეთი არაკეთილსინდისიერი მოქმედებების შესახებ, როგორცაა: საიტის მოხმარებლის მხრიდან

მისი არსებული ან/და პოტენციური დამკვეთის უფლებების უხეში დარღვევა, მისთვის სერვისის/მომსახურების გაწევისას უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევა, ფინანსური მაქინაციები და სხვა.

#### **4. ვებგვერდის ფასიანი სერვისების პირობები**

4.1 მომხმარებელს უფლება აქვს მისთვის სასურველი ვადით ისარგებლოს ვებგვერდზე ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ფასიანი სერვისებით;

4.2 ფასიანი სერვისების შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაცია ათავსებს მომხმარებლის სამართავ პანელში და ის ხელმისაწვდომია ყველა რეგისტრირებული მომხმარებლისთვის;

4.3 სერვისების პირობების აღწერაში მითითებულ ინფორმაციას აქვს ანალოგიური იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე შეთანხმებას და მისი გათვალისწინება სავალდებულოა მომხმარებლებისთვის;

4.4 ადმინისტრაციას აქვს უფლება შეცვალოს ფასიანი სერვისების პირობები და ფასები მომხმარებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

#### **5. თანხის დაბრუნების პოლიტიკა**

5.1 საიტზე სერვისების გამოსაყენებლად ჩარიცხული თანხის მომხმარებლისთვის უკან დაბრუნება შპს CoolGroup-ის მიერ ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

5.1.1 მომხმარებელს ჩარიცხული თანხა სრულად აქვს ბალანსზე და თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გამოუყენებია საიტის სერვისებით სარგებლობისთვის;

5.1.2 ადმინისტრაციამ მისი მიზეზით გამოწვეული პრობლემების გამო ვერ უზრუნველყო იმ სერვისის/მომსახურების გაწევა, რაც შეიძინა მომხმარებელმა საიტზე ჩარიცხული თანხით;

5.2 თანხის დაბრუნება ხდება მომხმარებლის მიერ ელ-ფოსტაზე [info@turebi.ge](mailto:info@turebi.ge) ადმინისტრაციისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე; [info@turebi.ge](mailto:info@turebi.ge) პეკინის 25, III სადარბაზო 558168918; 598489608 [www.turebi.ge](http://www.turebi.ge)

5.3 თანხის დაბრუნება ხდება სრულად მომხმარებლის იმავე ანგარიშზე, საიდანაც მოხდა თანხის ჩარიცხვა;

5.4 თანხის დაბრუნება ხდება წერილობითი მიმართვის მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო კვირაში.

#### **6. საიტის ვიზიტორების მხრიდან მომხმარებლის შეფასება/კომენტარი**

6.1 საიტის მომხმარებლის წესებზე თანხმობით მომხმარებელი აცხადებს თანხმობას საიტის ვიზიტორების მხრიდან მისი საქმიანობის შეფასებაზე/კომენტარებაზე;

6.2 ადმინისტრაციას უფლება აქვს ვიზიტორების მიერ გაკეთებული შეფასებები/კომენტარები გამოაქვეყნოს საიტზე მოდერაციის გავლის შემდეგ ან მოდერაციის გარეშე;

6.3 მომხმარებელს უფლება აქვს ადმინისტრაციისგან მოითხოვოს შეფასების/კომენტარის წაშლა გასაჩივრების დილაკით იმ შემთხვევაში თუ შეფასება/კომენტარი შეიცავს შეურაცხყოფელ ინფორმაციას, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს ან მომხმარებელი თვლის, რომ შეფასება შეიცავს ცრუ ინფორმაციას (მაგ: არ ჰქონია კავშირი მომხმარებელთან, არ უსარგებლია მისი სერვისით და სხვა);

6.4 ადმინისტრაცია მომხარებლის მიერ გასაჩივრებულ შეფასებაზე/კომენტარზე გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალურად, კონკრეტული შემთხვევის განხილვის შემდეგ.

#### **7. წვდომა კომპანიის მონაცემების ხილვალობაზე:**

7.1 საიტის მონაცემთა ბაზაში არსებული მომხმარებლების საკონტაქტო ინფორმაცია, აღწერა, ფოტო გალერეა, სერვისები, პროდუქცია, ფასები, ხელმისაწვდომია საიტის ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

#### **8. ცვლილებები სამომხმარებლო შეთანხმებაში**

info@turebi.ge პეკინის 25, III სადარბაზო 558168918; 598489608 [www.turebi.ge](http://www.turebi.ge)  
ადმინისტრაციას უფლება აქვს საიტის სამომხმარებლო შეთანხმებაში ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები საკუთარი ინიციატივით ან/და საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით.

